

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №48
2018 წლის 24 დეკემბერი

ქ. სამტრედია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ თავი III, მე-16 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, თავი IV, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვრიდან.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნუგზარ ჯამბურია

დანართი №1

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი თავი I

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15,871.9	3,571.3	12,300.6	16,389.3	5,112.3	11,277.0	12,535.6	187.0	12,348.6
გადასახადები	4,587.1	0.0	4,587.1	4,200.0	0.0	4,200.0	10,157.6	0.0	10,157.6
გრანტები	8,206.3	3,571.3	4,635.0	9,618.4	5,112.3	4,506.1	187.0	187.0	0.0
სხვა შემოსავლები	3,078.5	0.0	3,078.5	2,570.9	0.0	2,570.9	2,191.0	0.0	2,191.0
ხარჯები	9,302.2	278.6	9,023.6	10,605.9	362.3	10,243.6	10,962.5	187.0	10,775.5
შრომის ანაზღაურება	1,823.0	80.0	1,743.0	2,251.2	84.4	2,166.8	2,305.1	84.4	2,220.7
საქონელი და მომსახურება	1,166.8	108.6	1,058.2	1,406.2	152.7	1,253.5	1,382.2	11.9	1,370.3



მირითადი კაპიტალის მომსახურება	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	67.9	0.0	67.9	39.3	0.0	39.3
სუბსიდიები	4,825.6	86.7	4,738.9	5,324.8	86.7	5,238.1	5,699.0	86.7	5,612.3
გრანტები	0.9	0.0	0.9	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,002.1	3.3	998.8	848.1	4.0	844.1	858.7	4.0	854.7
სხვა ხარჯები	483.8	0.0	483.8	706.7	34.5	672.2	677.2	0.0	677.2
საოპერაციო სალდო	6,569.7	3,292.7	3,277.0	5,783.4	4,750.0	1,033.4	1,573.1	0.0	1,573.1
არაფინანსური აქტივების ცვლილება	4,908.3	2,635.3	2,273.0	8,986.2	5,578.1	3,408.1	1,573.1	0.0	1,573.1
ზრდა	5,134.0	2,635.3	2,498.7	8,986.2	5,578.1	3,408.1	1,653.1	0.0	1,653.1
კლება	225.7	0.0	225.7	0.0	0.0	0.0	80.0	0.0	80.0
მთლიანი სალდო	1,661.4	657.4	1,004.0	-3,202.8	-828.1	-2,374.7	0.0	0.0	0.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	1,638.5	657.4	981.1	-3,202.8	-828.1	-2,374.7	0.0	0.0	0.0
ზრდა	1,638.5	657.4	981.1	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,638.5	657.4	981.1	0.0			0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	0.0	0.0	0.0	3,202.8	828.1	2,374.7	0.0	0.0	0.0
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული									



ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-22.9	0.0	-22.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	22.9	0.0	22.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	22.9	0.0	22.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

მუხლი 2. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	16,097.6	3,571.3	12,526.3	16,389.3	5,112.3	11,277.0	12,615.6	187.0	12,428.6
შემოსავლები	15,871.9	3,571.3	12,300.6	16,389.3	5,112.3	11,277.0	12,535.6	187.0	12,348.6
არაფინანსური აქტივების კლება	225.7	0.0	225.7	0.0	0.0	0.0	80.0	0.0	80.0
გადასახდელები	14,459.1	2,913.9	11,545.2	19,592.1	5,940.4	13,651.7	12,615.6	187.0	12,428.6
ხარჯები	9,302.2	278.6	9,023.6	10,605.9	362.3	10,243.6	10,962.5	187.0	10,775.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	5,134.0	2,635.3	2,498.7	8,986.2	5,578.1	3,408.1	1,653.1	0.0	1,653.1
ვალდებულებების კლება	22.9	0.0	22.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ნაშთის ცვლილება	1638.5	657.4	981.1	-3202.8	-828.1	-2374.7	0.0	0.0	0.0



მუხლი 3. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის შემოსავლები 12 535,6 ათ.ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	15,871.9	3,571.3	12,300.6	16,389.3	5,112.3	11,277.0	12,535.6	187.0	12,348.6
გადასახადები	4,587.1	0.0	4,587.1	4,200.0	0.0	4,200.0	10,157.6	0.0	10,157.6
გრანტები	8,206.3	3,571.3	4,635.0	9,618.4	5,112.3	4,506.1	187.0	187.0	0.0
სხვა შემოსავლები	3,078.5	0.0	3,078.5	2,570.9	0.0	2,570.9	2,191.0	0.0	2,191.0

მუხლი 4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გადასახადები 10 157,6 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	11	4,587.1	0.0	4,587.1	4,200.0	0.0	4,200.0	10,157.6	0.0	10,157.6
დღგ		0.0			0.0			7,007.6		7,007.6
საშემოსავლო გადასახადი		1,207.0		1,207.0	1,100.0		1,100.0	0.0		
ქონების გადასახადი	113	3,380.1	0.0	3,380.1	3,100.0	0.0	3,100.0	3,150.0	0.0	3,150.0
საქართველოს საწარმოთა	113111	1,880.8		1,880.8	2,232.0		2,232.0	2,232.0		2,232.0



ქონებაზე (გარდა მიწისა)										
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113112	252.0		252.0	0.0		0.0	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	113113	18.7	0.0	18.7	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	1131131	1.2		1.2	10.0		10.0	10.0		10.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	1131132	17.5		17.5	0.0			0.0		0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113114	159.3	0.0	159.3	55.0	0.0	55.0	105.0	0.0	105.0
ფიზიკური პირებიდან	1131141	122.3		122.3	50.0		50.0	75.0		75.0
იურიდიული პირებიდან	1131142	37.0		37.0	5.0		5.0	30.0		30.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	113115	1,069.3	0.0	1,069.3	803.0	0.0	803.0	803.0	0.0	803.0
ფიზიკური პირებიდან	1131151	28.7		28.7	3.0		3.0	3.0		3.0
იურიდიული პირებიდან	1131152	1,040.6		1,040.6	800.0		800.0	800.0		800.0

მუხლი 5. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის გრანტები 187,0 ათ.ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	13	8,206.3	3,571.3	4,635.0	9,618.4	5,112.3	4,506.1	187.0	187.0	0.0
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	133	8,206.3	3,571.3	4,635.0	9,618.4	5,112.3	4,506.1	187.0	187.0	0.0



ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1311	4,690.1	184.0	4,506.1	4,693.1	187.0	4,506.1	187.0	187.0	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი		4,506.1		4,506.1	4,506.1		4,506.1	0.0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად		184.0	184.0	0.0	187.0	187.0	0.0	187.0	187.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	1312	3,516.2	3,387.3	128.9	4,925.3	4,925.3	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები		3,387.3	3,387.3		4,925.3	4,925.3		0.0	0.0	
სხვა		128.9	0.0	128.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	

მუხლი 6. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 2 191,0 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	კოდი	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავ- ლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავ- ლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავ- ლები
სხვა შემოსავლები	14	3,078.5	0.0	3,078.5	2,570.9	0.0	2,570.9	2,191.0	0.0	2,191.0
შემოსავლები საკუთრებიდან	141	567.8	0.0	567.8	486.9	0.0	486.9	491.9	0.0	491.9
პროცენტები	1411	238.3		238.3	200.0		200.0	200.0		200.0
რენტა	1415	329.5	0.0	329.5	286.9	0.0	286.9	291.9	0.0	291.9
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	14151	286.4		286.4	276.9		276.9	276.9		276.9



შემოსავალი მიწის იჯაროდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	14154	43.1		43.1	10.0		10.0	15.0		15.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	142	2,018.1	0.0	2,018.1	1,634.0	0.0	1,634.0	1,161.0	0.0	1,161.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1422	1,994.5	0.0	1,994.5	1,622.0	0.0	1,622.0	1,141.0	0.0	1,141.0
სანებართვო მოსაკრებელი	14223	11.3		11.3	5.0		5.0	10.0		10.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	142212	0.4		0.4	0.0		0.0	1.0		1.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	142213	1,839.7		1,839.7	1,500.0		1,500.0	1,000.0		1,000.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	142214	143.1		143.1	117.0		117.0	125.0		125.0
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	142299	0.0		0.0	0.0			5.0		5.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	1423	23.6	0.0	23.6	12.0	0.0	12.0	20.0	0.0	20.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	14232	23.6		23.6	12.0		12.0	20.0		20.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	143	489.9		489.9	450.0		450.0	538.1		538.1
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	145	2.7		2.7	0.0		0.0	0.0		

მუხლი 7. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯები 10 962,5 ათ.ლარის ოდენობით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები



ხარჯები	9,302.2	278.6	9,023.6	10,605.9	362.3	10,243.6	10,962.5	187.0	10,775.5
შრომის ანაზღაურება	1,823.0	80.0	1,743.0	2,251.2	84.4	2,166.8	2,305.1	84.4	2,220.7
საქონელი და მომსახურება	1,166.8	108.6	1,058.2	1,406.2	152.7	1,253.5	1,382.2	11.9	1,370.3
ძირითადი კაპიტალის მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
პროცენტი	0.0	0.0	0.0	67.9	0.0	67.9	39.3	0.0	39.3
სუბსიდიები	4,825.6	86.7	4,738.9	5,324.8	86.7	5,238.1	5,699.0	86.7	5,612.3
გრანტები	0.9	0.0	0.9	1.0	0.0	1.0	1.0	0.0	1.0
სოციალური უზრუნველყოფა	1,002.1	3.3	998.8	848.1	4.0	844.1	858.7	4.0	854.7
სხვა ხარჯები	483.8	0.0	483.8	706.7	34.5	672.2	677.2	0.0	677.2

მუხლი 8. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება
განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 1 573.1 ათ.ლარით, მათ შორის

ა) განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 1 653.1 ათ.ლარით თანდართული რედაქციით:

(ათას ლარებში)

ორგანზაც. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	40.1	236.4	398,4
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	2,0	2,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,716.0	7,740.0	841,5
04 00	განათლება	273.5	505.2	100.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	83.8	322.7	311,2
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	20.6	179.9	0.0
	ჯამი	5,134.0	8,986.2	1,653.1

ბ) განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 80,0 ათ. ლარით თანდართული რედაქციით



კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
31	არაფინანსური აქტივების კლება	225.7	0.0	80.0
311	ძირითადი აქტივები	21.6	0.0	80.0
314	არაწარმოებული აქტივები	204.1	0.0	0.0
3141	მიწა	204.1	0.0	0.0

მუხლი 9. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციალურ ჭრილში

(ათას ლარებში)

ფუნქ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი			2018 წლის გეგმა			2019 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,430.0	0.0	2,430.0	3,230.0	0.0	3,230.0	3,627.1	0.0	3,627.1
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,430.0	0.0	2,430.0	3,146.1	0.0	3,146.1	3,540.9	0.0	3,540.9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,430.0	0.0	2,430.0	3,121.9	0.0	3,121.9	3,340.9	0.0	3,340.9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0	0.0	0.0	24.2	0.0	24.2	200.0	0.0	200.0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0	83.9	0.0	83.9	86.2	0.0	86.2
702	თავდაცვა	105.1	94.4	10.7	114.8	96.3	18.5	134.4	96.3	38.1



704	ეკონომიკური საქმიანობა	4,577.3	2,617.2	1,960.1	7,564.7	5,583.1	1,981.6	878.1	0.0	878.1
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	0.0	0.0	0.0	9.6	0.0	9.6	9.8	0.0	9.8
70421	სოფლის მეურნეობა	0.0	0.0	0.0	9.6	0.0	9.6	9.8	0.0	9.8
7045	ტრანსპორტი	4,572.5	2,617.2	1,955.3	7,545.5	5,583.1	1,962.4	836.0	0.0	836.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	4,572.5	2,617.2	1,955.3	7,545.5	5,583.1	1,962.4	836.0	0.0	836.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	4.8	0.0	4.8	9.6	0.0	9.6	32.3	0.0	32.3
705	გარემოს დაცვა	11.4	0.0	11.4	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	11.4	0.0	11.4	15.0	0.0	15.0	15.0	0.0	15.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	2,046.8	94.7	1,952.1	2,369.7	38.3	2,331.4	2,102.7	0.0	2,102.7
7061	ბინათმშენებლობა	453.8	0.0	453.8	540.1	34.5	505.6	358.5	0.0	358.5
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	682.6	0.0	682.6	774.0	0.0	774.0	900.0	0.0	900.0
7063	წყალმომარაგება	6.5	0.0	6.5	109.0	2.2	106.8	92.5	0.0	92.5
7064	გარე განათება	289.0	0.0	289.0	430.0	0.0	430.0	360.0	0.0	360.0
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	614.9	94.7	520.2	516.6	1.6	515.0	391.7	0.0	391.7
707	ჯანმრთელობის დაცვა	130.1	104.8	25.3	289.4	212.7	76.7	109.5	86.7	22.8
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8	109.5	86.7	22.8
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	20.6	18.1	2.5	179.9	126.0	53.9	0.0	0.0	0.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	2,038.2	0.0	2,038.2	2,433.0	3.8	2,429.2	2,456.8	0.0	2,456.8
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	872.7	0.0	872.7	1,067.2	3.8	1,063.4	1,133.3	0.0	1,133.3
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	871.7	0.0	871.7	1,034.8	0.0	1,034.8	985.5	0.0	985.5



7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	293.8	0.0	293.8	331.0	0.0	331.0	338.0	0.0	338.0
709	განათლება	1,799.1	0.0	1,799.1	2,428.4	2.2	2,426.2	2,175.0	0.0	2,175.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,422.5	0.0	1,422.5	1,761.0	0.0	1,761.0	1,900.0	0.0	1,900.0
7092	ზოგადი განათლება	206.0	0.0	206.0	487.4	2.2	485.2	90.0	0.0	90.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	206.0	0.0	206.0	487.4	2.2	485.2	90.0	0.0	90.0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	170.6	0.0	170.6	180.0	0.0	180.0	185.0	0.0	185.0
710	სოციალური დაცვა	1,298.2	2.8	1,295.4	1,147.1	4.0	1,143.1	1,117.0	4.0	1,113.0
7102	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	266.0	0.0	266.0	267.7	0.0	267.7	267.7	0.0	267.7
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	122.5	0.0	122.5	164.0	0.0	164.0	194.0	0.0	194.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	899.0	0.0	899.0	701.4	0.0	701.4	641.3	0.0	641.3
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	10.7	2.8	7.9	14.0	4.0	10.0	14.0	4.0	10.0
	სულ	14,436.2	2,913.9	11,522.3	19,592.1	5,940.4	13,651.7	12,615.6	187.0	12,428.6

მუხლი 10. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის მთლიანი სალდო (0) ათ. ლარის ოდენობით

მუხლი 11. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება (0) ათ.ლარის ოდენობით.

განისაზღვროს სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება (0) ათ.ლარის ოდენობით.

მუხლი 12. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელის დაფინანსების მიზნით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი შეადგენს 200,0 ათ.ლარს.

მუხლი 13. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 187,0 ათ. ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების



განხორციელებისათვის 86.7 ათ. ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 96.3 ათ. ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 4,0 ათ. ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განვლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განმსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 14. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 15. სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2019 წლის პრიორიტეტები და პროგრამები

1. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია 2 995.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 00)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო და კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე, ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის გარდა, განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.1 გზების, ხიდების, ბოგირების და ინფრასტრუქტურის სხვა ღონისძიებების დაფინანსება 836,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში რეაბილიტირებული გზების მოვლა-პატრონობა (ორმული შეკეთება); მრავალბინიანი კორპუსების ეზოების მოწყობა ასფალტ-ბეტონის საფარით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შიდა გზების მოხრეშვა; სანიაღვრე არხების გაწმენდა-რეაბილიტაცია, ბოგირებისა და ცხაურების მოწყობა. შესაბამისად, ადგილობრივი ბიუჯეტით აღნიშნული სამუშაოების ასანაზღაურებელი თანხა შეადგენს **836,0** ათ. ლარს.

პროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უკანასკნელ წლებში აქტიურად ხორციელდება მასშტაბური სამუშაოები ინფრასტრუქტურის მოწესრიგების კუთხით, მაგრამ გრძელვადიანი საჭიროებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია სამუშაოების გაგრძელების აუცილებლობა. მუნიციპალიტეტში ბოლო წლებში რეაბილიტირებული ქუჩების ნაწილი ითხოვს მიმდინარე (ორმული) შეკეთებას.

- ქალაქში საგზაო მოძრაობის ხარისხის გაუმჯობესების, საგზაო მოძრაობის ორგანიზებისა და უსაფრთხოების, სატრანსპორტო და ქვეითთა ნაკადის უსაფრთხოდ გადაადგილების მიზნით საჭიროა საგზაო ინფრასტრუქტურის ეტაპობრივი მოწესრიგება. კორპუსების ეზოები საკმაოდ არის დაშორებული კეთილმოწყობილი ცენტრალური თუ მეორეხარისხოვანი გზიდან და იქ მცხოვრებ მოქალაქეებს ტრანსპორტით თუ ფეხით მოუწესრიგებელი ტერიტორიის (ეზოების) გავლით უწევთ გადაადგილება. საჭიროა მრავალბინიანი კორპუსების ეზოებიდან ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელი გზების რეაბილიტაცია.

- მუნიციპალიტეტის სოფლების მოსახლეობას ცენტრალურ და მეორეხარისხოვან გზებამდე მისასვლელად უწევთ ქვიშა-ხრემოვანი გზებით სარგებლობა, გზის საფარის არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თითქმის ყველა სოფლის შიდა გზების უმეტესობა ამ ეტაპზე საჭიროებს მოხრეშვითი სამუშაოების ჩატარებას.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქალაქისა და სოფლების სხვადასხვა უბნებში სანიაღვრე ქსელების



ნორმალური ფუნქციონირებისათვის გასაწმენდია ზედმეტი ნატანისაგან დალექილი არხები, საჭიროა ნიაღვარმიმღები ობიექტების რეაბილიტაცია ქუჩებზე, რომლებზეც დაგეგმილია გზის კაპიტალური სამუშაოები, მოსაწყობია ახალი ბოგირები და ცხაურები.

- პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება

1.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 1 726,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების რეაბილიტაცია, გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება.

1.2.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება – 900,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის აღწერა: ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება ახორციელებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების დაგვა-დასუფთავებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან და მის გატანას, აგრეთვე, სანიაღვრე და საწრეტი არხების დანალექებისაგან გაწმენდა-გატანას, გარე განათების ქსელების მომსახურებას.

ქვეპროგრამის მიზანია ეკოლოგიურად სუფთა, ესთეტიკურად ლამაზი ქალაქი, განათებული მუნიციპალიტეტი, ქალაქის გაწმენდილი არხები ბუნებრივი ნალექისგან.

1.2.2 დასუფთავება – 15.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: დასუფთავების ღონისძიებები – სამტრედიის მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადებების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების თავიდან აცილება.

1.2.3 ბინათმშენებლობა – 358,5 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ბინათმშენებლობით ამაღნაგობები ვერ ახორციელებენ საერთო სარგებლობის ქონების დამოუკიდებელ მოვლა-პატრონობასა და განვითარებას. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავი მთლიანად აზიანებს ჭერს და მაღალ სართულებზე განთავსებულ ბინებს. აქედან გამომდინარე, ქ.სამტრედიაში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსები ფასადების, სადარბაზოების, სარდაფების, სახურავებისა და შიდა კომუნიკაციების რეაბილიტაციას საჭიროებს. ადგილობრივი ბიუჯეტით ქვეპროგრამის ფარგლებში აღნიშნული სამუშაოები ფინანსდება 358,5 ათ. ლარით.

1.2.4 წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 92,5 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: მუნიციპალიტეტის იერსახის გასაუმჯობესებლად და მოსახლეობის კომფორტული გარემოს შესაქმნელად საჭიროა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებაში მყოფი სასმელი წყლის სოკოების, შადრევნების წყლის ხარჯების დაფინანსება, ასევე, განხორციელდება სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია, მოწყობა-მომსახურება.

1.2.5 გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია – 360.0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 02 05)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მუნიციპალიტეტის განათების მომსახურება და საახალწლო-საშობაო ღონისძიებებისათვის ქუჩების დეკორატიული განათებების შექმნა, ასევე არსებული განათებების რეაბილიტაცია და ახლის



მოწყობა.

1.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები – 424.0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სკვერებისა და პარკების კეთილმოწყობის სამუშაოები, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება.

1.3.1 საკადასტრო რუკების მომზადება და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება – 32.3 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის განმახორციელებელი: ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.

პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა: პროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების ზუსტი აღრიცხვა და ბალანსზე აყვანა. ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში დარეგისტრირებული შენობა-ნაგებობების შიდა აზომვითი და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების დამზადება, აგრეთვე ქვეპროგრამა ითვალისწინებს ექსპერტიზის ჩატარების ორგანიზებას, საექსპერტო კვლევის შედეგად მიღებული დასკვნის ან აქტის შესაბამისი სამუშაოების განხორციელებას.

1.3.2 სკვერების მოწყობა და კეთილმოწყობის სხვა ღონისძიებები – 110,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 03 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სამტრედიის მუნიციპალიტეტის არსებული დენდროლოგიური პარკის განახლება, მგზავრთა თანამედროვე ტიპის მოსაცდელელების მოწყობა, რომელიც გააუმჯობესებს ქალაქის იერსახესა და შეუქმნის მოსახლეობას კომფორტულ პირობებს გადაადგილებისთვის.

1.3.3 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება – 281,7 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 03 03 04)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ძირითადი მიზანი არის ქალაქის იერსახის გაუმჯობესება არსებული სკვერების, პარკების კეთილმოწყობით, სანერგე მეურნეობის მოწყობა-ექსპლოატაციით, მწვანე ნარგავების მოვლით. აგრეთვე, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება პარკების სანიტარული დაცვა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, პანთეონების და სასაფლაოების ტერიტორიის დაგვა-დასუფთავება.

1.4 სოფლის მეურნეობის განვითარება – 9.8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 03 05)

პროგრამის განმახორციელებელი: ეკონომიკური განვითარების, ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახური.

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივ ფერმერთათვის აგროტურების მოწყობას, რომლის მიზანია, სოფლის მეურნეობის სფეროში საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და დაინტერესებულ პირთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა.

2. განათლება – 2 175,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებას განეკუთვნება და, შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა. ასევე, პროგრამაში შემავალი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის უმთავრესი მიზანია ახალი თაობის აღზრდა თანამედროვე მეთოდებისა და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით, სკოლის გარეშე დამატებითი განათლების უზრუნველყოფა.

2.1. ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბავშვბაღები) გაერთიანება – 1 900.0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 04 01)

პროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს ააიპ „სკოლამდელი აღზრდის



დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანება”, რომელიც აერთიანებს 24 საბავშვო და ბაგა-ბაღს, სადაც დაწყებით განათლებას იღებს 1935 ბავშვი. ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მ.შ. მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვების ხარჯს და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს. ასევე განხორციელდება არსებული ბაღების რეაბილიტაცია.

პროგრამის მიზანი: სკოლამდელი გაერთიანება მოწოდებულია და მიზნად ისახავს მოამზადოს ბავშვი ფიზიკურად, ჩამოაყალიბოს მორალურად და ინტელექტუალურად. ბაღების გაერთიანება აქტიურად მუშაობს თემატური პროექტების, სხვადასხვა საზეიმო ღონისძიებების ჩატარების ხარისხზე, ამასთან, ხელს უწყობს შშმ ბავშვთა ჩართულობას სასაწავლო პროცესში, რაც თავის მხრივ შეამცირებს სოციალურ დახმარებაზე სახელმწიფოს მიერ გაწეულ ხარჯებს. სკოლამდელი აღზრდა ითვალისწინებს არა მხოლოდ ცალკეული უნარების განვითარებას, არამედ ბავშვის პიროვნული განვითარების ხელშეწყობაზეც.

2.2 ზოგადი განათლების ხელშეწყობა – 25.0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 02)

2.3 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი – 185,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ფინანსდება მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი, სადაც ფუნქციონირებს სხვადასხვა წრეები, ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება. მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობენ რაიონულ, რეგიონალურ, რესპუბლიკურ ფესტივალ – კონკურსებში, ემსახურება მომავალი თაობების ინტელექტუალურ, ესთეტიკურ-ზნეობრივ აღზრდას.

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი უზრუნველყოფს ახალგაზრდების თვითრეალიზაციისთვის საჭირო გარემოს შექმნას. საქართველოს სახელმწიფო ახალგაზრდული პოლიტიკის შესაბამისად, ახალგაზრდული საქმიანობა ხორციელდება ფორმალური განათლების, ოჯახური და სამსახურეობრივი კონტექსტის მიღმა და ხელს უწყობს ახალგაზრდების განვითარებასა და კეთილდღეობას, საზოგადოებაში მათ აქტიურ მონაწილეობას და ინტეგრაციას. ელექტრონული სერვისების დანერგვა- განვითარება ხელს შეუწყობს ახალგაზრდების ინფრომირებას სხვადასხვა პროექტების შესახებ, რაც გაზრდის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა რაოდენობას. აგრეთვე, მოსწავლე -ახალგაზრდობის სახლი მიზნად ისახავს ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას, ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ხელმისაწვდომს გახდის ყველა დაინტერესებული პირისთვის.

2.4. სამტრედიის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) მშენებლობა – 65,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 04 04)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების, სივრცითი მოწყობის, არქიტექტორის, მშენებლობის, სამშენებლო ზედამხედველობის, ტრანსპორტისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის სამსახური.

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამა ითვალისწინებს საბავშვო ბაღების რეაბილიტაციისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებას და სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას.

3. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები – 2 456,8 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 00)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას, ამასთანავე ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

3.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა – 1 133,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.



3.1.1. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება და სპორტული მოედნების მშენებლობა და რეკონსტრუქცია – 292,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური.

პროგრამის / ქვეპროგრამის აღწერა: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადების წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, სხვადასხვა შეჯიბრებებისა და სახელობითი ტურნირების ჩატარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზების გაუმჯობესება (თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება), სპორტული ფილიალების (ააიპ-ები) ფუნქციონირების ხელშეწყობა. სამტრედიის მუნიციპალიტეტში ექვსი სპორტული ა.ა.ი.პ.-ია, რომელშიც ფუნქციონირებს 30-მდე სპორტის სახეობა, მათში დაკავებულია 200-მდე თანამშრომელი და 1000-მდე მოზარდი, განსაკუთრებით აღსანიშნავია ბოლო წლების სპორტული მიღწევები, როგორც ჩვენი ქვეყნის მასტაბით ისე მის ფარგლებს გარეთ საერთაშორისო ასპარეზობებზე, რაც შეეხება მუნიციპალიტეტის მერიის სპორტულ ღონისძიებათა ბიუჯეტს მწლისათვის გამოყოფილია 42000 (ორმოცდაორი ათასი) ლარი, რომელიც განკუთვნილია როგორც მუნიციპალური ისე რეგიონალური ღონისძიებებისათვის. მოხდება წარმატებული სპორტსმენების დაჯილდოვება ფულადი ან/და ფასიანი სასაჩუქრე სუვენირებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3.1.2. სპორტული სკოლები – 841,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის აღწერა: სპორტსმენებისათვის ხელშეწყობისა და შესაბამისი პირობების შექმნის მიზნით განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების ხელშეწყობა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება, სპორტული ინვენტარის შეძენა და თანამედროვე სტანდარტებთან მიახლოება, სპორტსმენთა კვებით უზრუნველყოფა, შეკრებებისა და მივლინებების განხორციელება, პერსპექტიული სპორტსმენების მომზადება წლიური საწვრთნელი პროცესის ორგანიზება და ნაკრები გუნდებისათვის მომზადება, მათთვის სოციალური პირობების შექმნა. 2019 წლის განვალლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- ა(ა)იპ – საცხენოსნო სპორტული კლუბი;
- ა(ა)იპ – კომპლექსური სპორტული სკოლა;
- ა(ა)იპ – საფრენბურთო კლუბი „ჯიკო“;
- ა(ა)იპ – ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“;
- შპს სპორტული კომპლექსი „სამტრედია“;
- ა(ა)იპ – საჭიდაო კლუბი „ფალავანი“.

3.1.2.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საცხენოსნო სპორტული კლუბი“ – 75.0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.

პროგრამის აღწერა: საცხენოსნო სპორტული კლუბი მუნიციპალიტეტში ინარჩუნებს ცხენოსნობის უძველეს ეროვნულ სახეობებს, აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევს ორთოპედიული დაავადებების მქონე პირებს. გარდა ამისა, ქმნის საჭირო პირობებს ახალგაზრდა ცხენოსანი სპორტსმენების განვითარებისთვის, რათა სამტრედიის საცხენოსნო სპორტული კლუბი კვლავ მრავალჯერ იყოს საქართველოს ჩემპიონი. იგი ერთადერთი საცხენოსნო კლუბია იმერეთის რეგიონში. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საცხენოსნო სპორტული კლუბის მიმდინარე ხარჯები, ასევე ხელფასი.

3.1.2.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლა“ – 179,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 02)

პროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება სპორტული სკოლის მიმდინარე ხარჯები.

სკოლის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპორტის ხელშეწყობა და განვითარება, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა და მუნიციპალიტეტში არსებული სპორტული ტრადიციების შენარჩუნება-გამლიერება. ახალგაზრდების მაქსიმალურად ჩართვა სპორტის სხვადასხვა სახეობათა ჯგუფებში. მოსახლეობის სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე პროგრამის განხორციელება მნიშვნელოვანია ბიუჯეტიდან სპორტის სუბსიდირების თვალსაზრისით დაფინანსება, რათა ნიჭიერმა



ბავშვებმა და ახალგაზრდებმა გამოავლინონ მათი სპორტული შესაძლებლობები.

3.1.2.3 ა(ა)იპ – „საფრენბურთო კლუბი ჯიკო“ – 80,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 03)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიმდინარე ხარჯები. „საფრენბურთო კლუბი ჯიკოს“ მიზანია მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია. ინტენსიური მზადება ფრენბურთულ ქალთა გუნდ „ჯიკოს“ სხვადასხვა შეჯიბრებებში მონაწილეობისათვის.

3.1.2.4 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „ხელბურთელთა კლუბი სამტრედია“- 105,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „ხელბურთელთა კლუბის“ მიმდინარე ხარჯები. პროგრამის მიზანია სამტრედიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხელბურთის განვითარების ხელშეწყობა, საქართველოს მასშტაბით და მის ფარგლებს გარეთ გამართულ ჩემპიონატებში და ტურნებში მონაწილეობა, არსებული ტრადიციების შენარჩუნება და ახალი წარმატებების მოპოვება, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ფარგლებში საზოგადოების ჯანსაღი წესით ცხოვრების პროპაგანდა, მოზარდ თაობებში მისი დამკვიდრება და პოპულარიზაცია, ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდა.

3.1.2.5. შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედია“ – 245,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 05)

ქვეპროგრამის აღწერა: შპს „სპორტული კომპლექსი სამტრედიას“ ძირითად მიზანს წარმოადგენს ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა სპორტულ გამაჯანსაღებელ მოძრაობაში, აგრეთვე, სპორტსმენთათვის სამედიცინო-დიაგნოსტიკური, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროცესის ორგანიზება; ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა და მისი დამკვიდრება მოზარდ თაობაში, მასობრივი სპორტის განვითარება. მისი ძირითადი საქმიანობა დაინტერესებული პირებისთვის საცურაო აუზით, საფეხბურთო მინი მოედნებითა და სპორტული დარბაზით მომსახურებაა.

3.1.2.6 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი „ფალავანი“ – 157,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 01 02 07)

ქვეპროგრამის აღწერა: ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება „საჭიდაო კლუბი ფალავანის“ მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია ბავშვთა და მოზარდთა მაქსიმალური რაოდენობის ჩაბმა ჭიდაობის შესწავლაში, აგრეთვე, ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა, ნაკრები გუნდებისათვის რეზერვების მომზადება, საწრთველი პროცესის ორგანიზება, მატერიალურ-ტექნიკური და საწრთველი ბაზის შექმნა, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების დაკვეთით სპორტულ-მეთოდური საქმიანობის წაროება.

3.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა – 873,6 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02)

სამტრედიის მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

3.2.1 სახელოვნებო სკოლები – 454,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი მუსიკალური სკოლები:

- ააიპ – დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა;
- ააიპ – №2 სამუსიკო სკოლა;
- ააიპ – სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა;
- ააიპ – გომის თემის სამუსიკო სკოლა;
- ააიპ – სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა;
- ააიპ – დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა.

ქვეპროგრამის აღწერა: სკოლების მიზანია ცოდნის მიცემა მუსიკის სფეროში, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლის განათლებულ-კულტურულ ადამიანად ჩამოყალიბებას, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებულ მოსწავლეთა გამოვლენას, მოზარდთა მხატვრული აზროვნების, გემოვნებისა და წარმოსახვის უნარის ჩამოყალიბებას, აგრეთვე, შემოქმედებითი საქმიანობისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების გამომუშავებას. მოზარდთა მომზადება კონკურსებისათვის და უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლისათვის.



3.2.1.1 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლა – 147,3 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის №1 სახელოვნებო სკოლის ხელფასები მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 257 მოსწავლე.

3.2.1.2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლა – 53,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის №2 სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 130 მოსწავლე.

3.2.1.3 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლა – 39,8 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 52 მოსწავლე.

3.2.1.4 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლა – 59,1 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები სკოლაში ირიცხება 84 მოსწავლე.

3.2.1.5 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლა – 56,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 106 მოსწავლე.

3.2.1.6 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლა – 38,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ააიპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის მიმდინარე ხარჯები. სკოლაში ირიცხება 42 მოსწავლე.

3.2.1.7 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა – 58,8 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 02 01 07)

ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეას მიმდინარე ხარჯები. ძირითადი მიზანია პირობები შეუქმნას სამტრედიაში მოღვაწე მხატვრებს თავიანთი შემოქმედების წარმოსაჩენად. ამავე დროს მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურის მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები, გალერეას ფონდში დღემდე დაცული რამდენიმე ფერწერული ტილოს აღდგენა-რესტავრაციას.

3.2..2 ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი – 339,6 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის აღწერა: საქმიანობის სახეა კულტურის სხვა დაწესებულების საქმიანობა, მიზანი – თეატრალური, ქორეოგრაფიული და მუსიკალური საქმიანობის ხელშეწყობა; სოფლებში კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის განვითარება; თანამშრომლობა ადგილობრივი და მეზობელი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან; სოციალური ჯგუფების კულტურულ-შემცენებითი, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მოღვაწეობის უზრუნველყოფა.

3.2.3. ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება – 79,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 02 04)

ქვეპროგრამის აღწერა: სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საბიბლიოთეკო გაერთიანება“ აერთიანებს 9



ბიბლიოთეკას, რომელიც ემსახურება 6689 მკითხველს. იგი ორიენტირებულია ხელი შეუწყოს ბიბლიოთეკებსა და საზოგადოებას შორის თანამშრომლობის ახალი ფორმების ჩამოყალიბებას, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ნიჭის განვითარებას და აღზარდოს წიგნიერი თაობა. საბიბლიოთეკო გაერთიანება მუშაობს საბიბლიოთეკო ფონდის ელექტრონული კატალოგიზაციის მიმართულებით. მიზანია მოსახლეობის მომსახურება საბიბლიოთეკო ფორმებით და მეთოდებით, ახალი წიგნების, ჟურნალ-გაზეთების მიწოდება, ლიტერატურული სადამოები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან და სხვა.

3.3 შპს „სამტრედიის მაცნე“ – 65,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 03)

ქვეპროგრამის აღწერა: იგი ერთადერთი გაზეთია, რომელიც მაქსიმალურად აშუქებს ადგილობრივი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრებას, მუნიციპალიტეტისა და საკრებულოს საქმიანობას. შპს „სამტრედიის მაცნე“ მიზანია სტაბილურად გამოცემის უზრუნველყოფა და მოსახლეობაზე მიწოდება, ამავე დროს უზრუნველყოფს პოლიტიკური, საზოგადოებრივი, კულტურული და შემოქმედებითი საკითხების გაშუქებას.

3.4 . ა(ა)იპ – სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საინფორმაციო ცენტრი“ – 38,9 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის აღწერა: საინფორმაციო ცენტრის მიზანს წარმოადგენს მჭიდრო ურთიერთობა ადგილობრივ ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის, რისთვისაც შექმნილია საინფორმაციო ყუთი და ცხელი ხაზი. მის მიერ შექმნილ ოფიციალურ ვებ. გვერდზე (www.samtredia.com.ge) განთავსებულია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების შესახებ, ასევე, კულტურული და საზოგადოებრივი საკითხები, პერმანენტულად შუქდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ახალი ამბები. მისი მიზანია ურთიერთობა ახალგაზრდებთან და არაფორმალური განათლების კუთხით მუშაობა. საინფორმაციო ცენტრი ახორციელებს სოციალურ პროექტებს.

3.5. ახალგაზრდული ორგანიზაციების კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება – 78,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 05)

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში.

3.5.1. ახალგაზრდული ორგანიზაციების ღონისძიებების დაფინანსება – 30,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 01)

პროგრამის / ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. **პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:** ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა, ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, წარმატებული ახალგაზრდების დაჯილდოება. საგანმანათლებლო პროცესის მოტივაციის ამაღლება, საგანმანათლებლო დაწესებულებებთან კოორდინირებული თანამშრომლობა, მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონის ამაღლება, სხვადასხვა ინტელექტუალურ-შემეცნებითი და საგანმანათლებლო ღონისძიებების ორგანიზება. ახალგაზრდების საქმიანობისა და სხვადასხვა აქტივობებში მათი ჩართულობის ხელშეწყობა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტებში მონაწილე ახალგაზრდების ხელშეწყობა. შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირება. ახალგაზრდების პრობლემების შესწავლა, წინადადებების შემუშავება არსებული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. მუნიციპალიტეტში ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების ხელშეწყობა. მუნიციპალიტეტში არსებული ინტელექტუალების ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობა. სხვადასხვა ახალგაზრდული, შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ახალგაზრდების ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3.5.2 კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის ღონისძიებების დაფინანსება – 48,0 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 05 05 02)

პროგრამის/ქვეპროგრამის განმახორციელებელი: სამტრედიის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური. **პროგრამის/ქვეპროგრამის აღწერა:** აღნიშნული თანხა მოხმარდება 2019 წლის განმავლობაში დაგეგმილი სხვადასხვა ღონისძიებების სათანადო დონეზე ჩატარებას. დამზადდება სხვადასხვა დანიშნულების ბუკლეტები, რომლებზეც სამტრედიის ღირშესანიშნაობები იქნება დატანილი, რაც ჩამოსულ ტურისტებს მეგზურობას გაუწევს და უფრო საინტერესოს გახდის მათ ყოფნას მუნიციპალიტეტში. დაგეგმილია ფოტო-კონკურსის ჩატარება, რომელშიც ჩაერთვება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებიდან მოყვარული ფოტოგრაფები, მათ მიეცემათ შესაძლებლობა განსხვავებული ხედვა შეიტანონ და აღბეჭდონ ჩვენი მუნიციპალიტეტი და არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლები. გამოფენას დაესწრება ასობით ახალგაზრდა. დამზადდება



საინფორმაციო ნიშნულები (ტრაფარეტები) ისტორიული-კულტურული ძეგლებისთვის, მათ შორის დამზადდება საგამოფენო სტენდი. მუზეუმის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად ჩატარდება მრავალფეროვანი ღონისძიებები, ადგილობრივი საჯარო სკოლების, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის, კულტურის ცენტრის, მუსიკალური და სახელოვნებო სკოლების შემოქმედებითი ჯგუფებისა და ინდივიდუალური შემსრულებლების აქტიური ჩართულობით, ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმში. ტრადიციულ სახალხო დღესასწაულ „ნიკოზა“-ზე საშუალება ექნება მუნიციპალიტეტის სტუმრებსა და ადგილობრივებს გაეცნონ ნიკოლაძეების ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობას, დაათვალიერონ ულამაზესი ტყე-პარკი, მათთვის მოეწყობა საზეიმო კონცერტი. მოეწყობა სახალხო დღესასწაული „სამტრედია“ და ღონისძიების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება საპატიო მოქალაქეების დაჯილდოება დიპლომებითა და ფულადი ჯილდოთი. კულტურის სფეროში დაგეგმილი პროგრამის ფარგლებში მოეწყობა სხვადასხვა სახის კულტურული ღონისძიებები, აღინიშნება ტრადიციული დღესასწაულები და გაიმართება საიუბილეო საღამოები. ასევე დაგეგმილია სხვადასხვა სახის კონკურსებში, ფესტივალებსა და გამოფენებში მონაწილეობის მიღება. მოხდება სამტრედიასთან დაკავშირებული კულტურისა და ხელოვნების სფეროში მოღვაწე წარმატებული და ცნობილი პიროვნებების დაჯილდოვება ფულადი ჯილდოებით ან/და ფასიანი სასაჩუქრე სუვენირებით. ასევე განხორციელდება სხვადასხვა კონკურსებში, ფესტივალებსა და გამოფენებში წარმატებული მონაწილეების დაჯილდოვება. კულტურის, ძეგლთა დაცვისა და ტურიზმის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიებებში დასწრებისა და მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

3.6. ხონი-სამტრედიის ეპარქიის დაფინანსება – 260,0 ათ.ლარი (პროგრამული კოდი 05 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ხონი-სამტრედიის ეპარქიის სუბსიდირება, დაფინანსდება მთავარი საკათედრო ტაძარი.

4. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 1 226,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

4.1 საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები – 109,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებები.

4.1.1ა)იპ – საზოგადოებრივი „ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“ – 109,5 ათ. ლარი (პროგრამული კოდი 06 01 01)

